

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №10

ქ. თბილისი

25.12.2015

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
ირინა ხანთაძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი,
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; სხდომის თავმჯდომარე; (შემდგომში - თავმჯდომარე)

თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი
სპეციალისტი, საბჭოს მდივანი; (შემდგომში - მდივანი)

რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო
ინსტიტუტის (EPPM) აღმასრულებელი დირექტორი;

გიორგი გიგიშვილი - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი;

მარინა უშვერიძე - PH International სამოქალაქო განათლების პროგრამების ხელმძღვანელი;
ნინო კოდუა - სსიპ - ქალაქ თბილისის #55 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი;

ნათურა ბარაბაძე - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)
წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;

ლიკა გიორგაძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;

ქეთევან ბექერ - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს
კოორდინატორი.

ანი ლელაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

მარიამ შოშიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;

თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ორესტ პესჩანენკო - შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტის დირექტორი;

ამბარცუმ ბალდასარიანი - შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტის კოორდინატორი;

ელეონორა ნინიძე - შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტის იურისტი;

ლანა ორაგველიძე - შპს ბრიტანულ-ქართულ აკადემიის ადმინისტრაციული მენეჯერი;

მადონა ღიბრაძე - შპს ბრიტანულ-ქართულ აკადემიის იურისტი;

ელგუჯა დავითაძე - შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. ბათუმის რ. შავინის
სახელობისმეგობრობის სკოლა-ლიცეუმის დირექტორი;

ნათია მაკარაძე - შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. ბათუმის რ. შავინის
სახელობისმეგობრობის სკოლა-ლიცეუმის დირექტორის მოადგილე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში -ექსპერტები):

ნინო ფეტვიაშვილი;
ნინო ბალანჩივაძე;
ნელი ნასყიდაშვილი;
ნოდარ ანგურიძე;
ლევან ღურჯაია;
მიხეილ ტეფნაძე.

სხდომა დაიწყო 15:44 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას წარუდღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ირინა ხანთაძე.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

- შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
- შპს ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
- შპს თბილისის მწვანე სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
- შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. ბათუმის რ.შაჰინის სახელობისმეგობრობის სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა, ლევან მადათოვა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით შპს თბილისის მწვანე სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის მომდევნო სხდომისთვის გადადების შესახებ. მიზეზად ცენტრში ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ვადაზე გვიან ჩაბარება დასახელდა.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას მიმართა, ხომ ხომ არ იყო ვინმე წინააღმდეგი, დღის წესრიგში აღნიშნული ცვლილება შესულიყო. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა წარმოდგენილი შუამდგომლობა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყუნა სხდომის დღის ახალი წესრიგი:

- შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
- შპს ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
- შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. ბათუმის რ.შაჰინის სახელობისმეგობრობის სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

 2

1. შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტური განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ფეტვაშვილმა. დაწესებულებას სკოლის დირექტორი, ორესტ ესჩანენკო, სკოლის კოორდინატორი, ამზარცულ ბაღდასარიანი და სკოლის იურისტი, ელეონორა ნინიძე წარმოადგენდნენ.

ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის საფუძველი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტიდან შემოსული წერილი №913807 გახდა, რომელშიც აღნიშნული იყო ავტორიზაციის სტანდარტების შესაძლო დარღვევის შესახებ ფაქტები. კერძოდ, განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ სკოლაში მოსწავლეებს საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიას მცდარ წყაროებზე დაყრდნობით ასწავლიდნენ.

ნინო ფეტვაშვილმა ვიზიტის მიმდინარეობისას გამოვლენილი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული უზუსტობებისა და ხარვეზების შესახებ ისაუბრა.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტური სწავლა მიმდინარეოდა რუსულ ენაზე. სკოლის მისიის თანახმად, „...სკოლა შექმნილია საქართველოს და სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მქონე ბავშვების სასწავლებლად, რომელთათვის რუსული ენა არის მშობლიური...“.

1.2 დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმის დოკუმენტს (სასკოლო სასწავლო გეგმას) არ ჰქონდა დამტკიცების რეკიზიტები.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმაში საათობრივი ბადე წარმოდგენილი იყო საფეხურების (დაწყებითი და მე-7 - მე-12) და კლასების მიხედვით. ზოგიერთ შემთხვევაში ბადეებში თანხვედრა არ იყო. კერძოდ,


ა) მე-4 კლასში კლასის ბადეში მითითებული იყო საგანი „ცეკვა“, რომელსაც ეთმობოდა 1 საათი, რაც არ ჩანდა საფეხურის ბადეში (არ იყო მითითებული არც საგანი, არც საათი). შესაბამისად, საერთო ბადეში სავალდებულო საათების რაოდენობაში აცდენა ფიქსირდებოდა: საერთო ბადეში საათების რაოდენობა კვირაში შეადგენდა 27/28 საათს, ხოლო კლასის ბადეში - 28/29 საათს.

ბ) მე-12 კლასის სავალდებულო საათების საერთო რაოდენობაც სხვადასხვა იყო საფეხურისა და კლასის ბადეში. კერძოდ, საფეხურის ბადეში მე-12 კლასში მითითებული იყო 29/30 საათი, ხოლო კლასის ბადეში 30/33.

1.4 სასკოლო სასწავლო გეგმაში სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად არ იყო წარმოდგენილი, თუმცა ზოგიერთი საგნის თემატურ გეგმებში (სილაბუსებში) არსებობდა დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალი.

1.5 სკოლა იყენებდა მშობლიური ენისა და ლიტერატურის (რუსული ენისა და ლიტერატურის) და მე-12 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებს (ვასაძე/მუზაშვილი), რომლებიც არ არის გრიფირებული.

1.6 ზოგიერთ შემთხვევაში ერთი საფეხურის ფარგლებში სწავლება მიმდინარეობდა სხვადასხვა ავტორების სახელმძღვანელოებით, რაც არღვევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის N30/6 ბრძანებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესის შესახებ (მუხლი 8.). კერძოდ:



ა) დაწყებით საფეხურზე პირველიდან მე-3 კლასის ჩათვლით მათემატიკა ისწავლება ბექაური/ჩეხიძის სახელმძღვანელოთი, დანარჩენ კლასებში კი ვეფხვაძე/გოგიშვილის მათემატიკის სახელმძღვანელოთი.

ბ) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება- პირველ, მე-5, მე-6 კლასებში - კლდიაშვილი/ჯაყელის სახელმძღვანელოთი, ხოლო მე-2, მე-3 და მე-4 კლასებში მაჭარაშვილის სახელმძღვანელოებით.

გ) ბუნებისმეტყველება პირველ, მე-2, მე-5 და მე-6 კლასებში ისწავლება ბლიაძე/გვანტალიანის სახელმძღვანელოთი, მე-3 კლასში ბარნაველი/გეგაჭვირის სახელმძღვანელოთი, ხოლო მე-4 კლასში მაჭავარიანი/შალვაშვილის სახელმძღვანელოებით.

დ) მათემატიკა მე-7 კლასში წილოსანის სახელმძღვანელოთი, ხოლო დანარჩენ კლასებში გოგიშვილი/ვეფხვაძის სახელმძღვანელოთი და სხვ.

1.7 ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სახელმძღვანელოები ნათარგმნი იყო რუსულად და მასწავლებლებლებთან გასაუბრების შედეგად ირკვეოდა, რომ მოსწავლეები სარგებლობენ ამ რუსულენოვანი ვერსიით, თუმცა ბიბლიოთეკაში რუსულენოვანი სახელმძღვანელოები სრულად არ იყო წარმოდგენილი.

მონიტორინგის ჯგუფმა დასკვნაში დააფიქსირა რიგი საკითხები, რომლებიც სკოლის მიერ უნდა ყოფილიყო განსაზღვრული, თუმცა ეს საკითხები არ იყო დაზუსტებული და სასკოლო სასწავლო გეგმაში ეროვნული სასწავლო გეგმიდან უცვლელად იყო გადმოტანილი. მაგალითად, დაწესებულების მიერ დამტკიცებულ 2015-2016 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში იკითხებოდა შემდეგი:

„გამოცდის ტიპები. 1. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტში“ შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:

- ა) სემესტრული გამოცდა;
- ბ) წლიური (სასწავლო წლის დამამტავრებელი) გამოცდა;
- გ) საშემოდგომო გამოცდა;
- დ) ექსტერნის გამოცდა;
- ე) სკოლის გამოსაშვები გამოცდა“.

ამავე დოკუმენტის გვ.70-71 - პუნქტი N4-5-ში იკითხება შემდეგი:

„წლიური გამოცდის დანიშვნა/არდანიშვნის საკითხს წყვეტს სკოლა. აღნიშნული ასახული უნდა იყოს სასკოლო სასწავლო გეგმაში. წლიური გამოცდა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ საბაზო და/ან საშუალო საფეხურზე. თუ სკოლას სურს საგნის წლიური გამოცდის დანიშვნა, მან სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა განსაზღვროს, რომელ კლასში/კლასებში და რომელ საგანში/საგნებში ჩატარებს ამ გამოცდას და ექნება თუ არა ამ გამოცდაზე მიღებულ ქულას გავლენა საგნის წლიურ ქულაზე“.

სასკოლო სასწავლო გეგმის სადამრიგებლო პროგრამაში სრულად არ იყო გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმის მე-6 მუხლის გ.ბ) მე-3 პუნქტის „ბ“ კვეპუნქტის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც „სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს შემდეგ მიმართულებებზე:

- ბ.ა) პიროვნული და მორალური განვითარება;
- ბ.ბ) გარემოსდაცვითი ჰულტურის განვითარება;
- ბ.გ) მეწარმეობის უნარების განვითარება;
- ბ.დ) ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია;
- ბ.ე) უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია;
- ბ.ვ) მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერების ამაღლება;
- ბ.ზ) თვალსაწიერის გაფართოება.“.

1.8 სწავლების ენა სკოლა ინტელექტში იყო რუსული - რუსულად ისწავლებოდა ყველა საგანი. ამას ადასტურებდა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, სახელმძღვანელოები, სკოლის მისია და გასაუბრება მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და დირექციის წარმომადგენლებთან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით:

საქართველოს მოქალაქეებს, რომლებისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად,

კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება...“ ამავე კანონის შემდეგ მუხლში ზუსტდება შემდეგი:

მუხლი 5. პუნქტი 4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საგნობრივი ჯგუფები (სახელმწიფო ენა და საზოგადოებრივი მეცნიერებები) იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც სწავლება ხორციელდება ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ისწავლება ქართულად..

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქსპერტმა განაცხადა, რომ დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და ნეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანების თავი II, მუხლი მე-3, პუნქტი: დარღვეულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

1.9 თემატური გეგმები და ე.წ. სილაბუსები შემუშავებული იყო ყველა საგანში, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში წარმოდგენილი იყო ძველი, სავარაუდოდ, წინა ავტორიზაციის დროინდელი ვერსიები, რომლებიც, როგორც დოკუმენტებიდან ჩანდა, შედგენილი იყო 2010-2011 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების მიხედვით. მაგალითად, მე-9 კლასის ფიზიკის სილაბუსი და სხვ.

მასწავლებლებმა ინტერეირუების დროს აღნიშნეს, რომ ზოგიერთ საგანში სახელმძღვანელოები ქართულენოვანი იყო (ხელოვნება, მუსიკა), ბავშვები ვერ ფლობდნენ სათანადოდ ქართულს, ამიტომ მასწავლებლები თარგმნილ (რუსულ) ვერსიას მოკლედ აწერინებდნენ მოსწავლეებს რვეულებში. თუ გავითვალისწინებთ, რომ გაკვეთილი 45 წუთიანია და ხელოვნებისა და მუსიკის საათები 1 ან 2 საათს არ აღემატება, ბუნდოვანია, როგორ ხდებოდა ამ საგნებში ესგ-ით გათვალისწინებული საფეხურის შესაბამისი შედეგების მოთხოვნების მიღწევა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 7 სექტემბრის №118/ნ ბრძანების თანახმად ძალაში შევიდა ეროვნულ უმცირესობათა ენების სასწავლო გეგმა, რომელშიც შედის ეროვნული უმცირესობების ენა და ლიტერატურა არაქართულენოვანი სკოლებისათვის (რუსული, სომხური და აზერბაჯანული ენებისათვის). ქსპერტის განმარტებით, აღნიშნული საგანი სავალდებულო იყო და ისწავლებოდა I-XII კლასებში. ამ ეტაპზე ესგ-ის სტანდარტით გათვალისწინებული იყო I-VI კლასებში მშობლიური (ამ შემთხვევაში, რუსული) ენისა და ლიტერატურის სწავლების მოთხოვნები და მიმართულებები.

დაწესებულებამ წარმოადგინა მშობლიური ენისა და ლიტერატურის თემატური გეგმები (სილაბუსები), რომლებიც არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 7 სექტემბრის N 118/ნ ბრძანებას. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტში რუსული ენა და ლიტერატურა ისწავლებოდა ცალკე და არა ინტეგრირებულად, დიდი აქცენტი კეთდებოდა გრამატიკის თეორიული საკითხების სწავლებაზე, ეს ჩანდა წარმოდგენილ სილაბუსებშიც, რაც არღვევდა ესგ-ს მოთხოვნებს. კერძოდ, ესგ-ს მოთხოვნით „დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ენობრივი საკითხების, ასევე ტერმინებისა და ცნებების სწავლება უნდა მიმდინარეობდეს პრაქტიკული აქტივობებით. სწავლების ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის გრამატიკული წესებისა და ენობრივი კანონზომიერებების თეორიული სწავლება“.

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები იყო ზოგადი და, ზოგიერთ შემთხვევაში, იდენტური. არ იყო გათვალისწინებული სხვადასხვა საფეხურებზე სწავლების განსხვავებები და თავისებურებები. წარმოდგენილი კრიტერიუმები ზოგადი ხასიათის იყო და ვერ უზრუნველყოფდა რელევანტურობასა და ვალიდურობას. მასწავლებლების მიერ წარმოადგინილი კრიტერიუმები ვერ უზრუნველყოფდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. მაგალითად, მასწავლებელთან გასაუბრების დროს წარმოდგენილი იყო წერითი დავალების (გრამატიკის) შეცდომების რაოდენობის და ტექსტის ცოდნის ე.წ. შეფასების სქემა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში (მათივე განმარტებით) მოსწავლე ფასდებოდა მასწავლებლის შეხედულებისამებრ. მაგალითად, რამდენად გრძნობით თქვა ლექსი. როგორც პედაგოგი განმარტავდა, ზოგიერთ შემთხვევაში შეფასება ხდებოდა «...по усмотрению учителя». მათივე განმარტებით, სკოლაში მუშაობდნენ პრეზენტაციებზე,

პროექტებზე და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, თუმცა ამ ტიპის აქტივობების კონკრეტული შეფასების კრიტერიუმები არ ყოფილა წარმოდგენილი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის შემაჯამებელი წერილობითი შეფასების სქემა I-IV კლასებშიც ზოგადი იყო. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა წარმოადგინეს კითხვის განმავითარებელი შეფასების ე.წ. რუბრიკა, რომლის მიხედვით მოსწავლეებს აფასებდნენ შემდეგნაირად: უმница, მолодец, постарался, старался, старался, старался. თითოეულს ახლავდა შესაბამისი განმარტება.

ეროვნული სახწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისი შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაცია დაწესებულებას სრულად არ წარმოუდგინა.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 წიგნების გარკვეული რაოდენობა არ იყო დამუშავებული ბიბლიოთეკის წესით, კერძოდ არ ჰქონდა ჯიბაკები და არ იყო დამოწმებული დაწესებულების ბეჭდით. ვიზიტის პერიოდში ბიბლიოთეკაში ვერ იქნა მოძიებული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები სრულად. კერძოდ:
მე-3 კლასი:

ქართული ენა და ლიტერატურა - ვ.როდონაია; ა.არაბული
მათემატიკა - თ. ბეჭაური.

ბუნებისმეტყველება - წარნაველი, გაგეჭორი

07-4 კლასი:

ბუნების მეტყველება - მაჟარიანი, შალვაშვილი

მე-5 კლასის ზოგიერთი სახელმძღვანელო შიბლიოთეკაში მხოლოდ ქართულ ენაზეა წარმოდგენილი. მაგ., მათემატიკა, ჩვენი საქართველო, ბუნებისმეტყველობა და სხვ.

მე-6 კლასი:

ბუნებისმეტყველება - ბლიაძე

სახურითი და გამოყენებითი ხილოვანება - ა. კლირაშვილი, ქათათი

8-7 3cm1bo:

ଦେବପାତା - ୨୦୨୫୧୮୩, ମୋହାରୀ

87-8 2009/10:

სახვითი და გამოყინვებითი ხოლონიტა - მიუ-შერტება, კუნიკულარი

80-9 2001/2

საქართველოს კუთხით - ნიმუში წარდგინდა.

പിമോ- റി. 24ന്നുവീണ്ടും

ମୋ-10 ଜାନ୍ମନୀ

ପ୍ରେସ୍ କୁଳତମି:

ମୋ-11 ଅନ୍ଧାରା

ଦେଇଲାଙ୍କ ପରିମାଣ - ୧୦ ମିଟି ଏବଂ ନିର୍ମାଣ କାହାରେ

କୁଳାଙ୍ଗା - କୁମରା, କୁତ୍ରାଙ୍ଗାରଙ୍ଗାରଙ୍ଗା

Fig. 12. *Amphibole*.

ပြ-12 ဒုဇိုင်း

სამეცნიერო კურსები - გ. გოგიძე

გეოგრაფია - სეფეორთელაძე

სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება - მეიტარიანი, მიქეიაშვილი
დირექტორის ბრძანების თანახმად ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებული იყო, თუმცა
არნიშვნობით თოვლის შემთხვევაში მართვის მიზანი და მიზანი დარღვევის მიზანი

დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ ხარვეზებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიუხედავად მზაობისა, დაწესებულებას არ მიეცა მათი გამოსწორების საშუალება. წარმომადგენელი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის თაობაზე, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დაწესებულების გაუფრთხილებლად განხორციელდა და სკოლა ქართული სკოლების ანალოგური პრინციპით შემოწმდა, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესი განსხვავებული სპეციფიკით მიმდინარეობდა. ორგანიზაცია, რომელიც თავის სავარ

გახდა, სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლაში ძირითადად სხვა ქვეყნის ან ორმაგი მოქალაქეობის მქონე მოსწავლეები სწავლობდნენ.

წარმომადგენლის თქმით, სადაო ლიტერატურაც სკოლაში ინდივიდუალურმა მეწარმემ ისეთ დროს შემოიტანა, როცა ხელმძღვანელობა სკოლაში არ იმყოფებოდა და სახელმძღვანელოებსაც რეკომენდაციას სკოლის პედაგოგები უწევდნენ. წიგნები მშობლებმა სწორედ მასწავლებლების რეკომენდაციით შეიძინეს.

ექსპერტმა, ნინო ბალანჩივაძემ საბჭოს განუცხადა, რომ რუსულენოვან სახელმძღვანელოებს არ ჰქონდათ სახელმწიფოს მიერ მინიჭებული გრიფი. ექსპერტმა ასევე გაიხსენა, რომ გაკვეთილზე გეოგრაფიის მასწავლებლთან გასაუბრებისას პედაგოგმა აღნიშნა, რომ გეოგრაფიის რუსულენოვანი სახელმძღვანელოები, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტისას ნახა, უბრალოდ დამატებით ჰქონდათ მოსწავლეებს და მისით არ ხელმძღვანელობდნენ. ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების ბლოკი საქართველოში ქართულ ენაზე უნდა ისწავლებოდეს, თუმცა სკოლის წარმომადგენლებს ვიზიტის დროს ამაზეც თავისი განმარტება ჰქონდა, თითქოს ამით არაქართულენოვანი მოსწავლეების უფლებები ილახებოდა. სკოლის დირექტორმა საბჭოს განუცხადა, რომ ვინაიდან სკოლაში ძირითადად საელჩოების წარმომადგენელთა შვილები სწავლობდნენ და სკოლა მოსწავლეების ინტერესების დაკმაყოფილებას ცდილობდა, ამას ხარებზად უთვლიდნენ. სკოლის დირექტორმა, ასევე, ეროვნულ სასწავლო გეგმაში ხშირი ცვლილებების თაობაზე უკმაყოფილება გამოხატა.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუცხადა, რომ სათანადო ცვლილებებს არაფერი აბრკოლებდა, თუმცა სკოლას, დასკვნის მიხედვით, დირექტორის მიერ დამტკიცებული ცვლილებები ჰქონდა წარმოდგენილი, როცა აღნიშნული უფლებამოსილება პედაგოგიურ საბჭოს ეკუთვნოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით დაზუსტება გააკეთა ნინო ფეტვიაშვილმა და საბჭოს განუცხადა, რომ მიუხედავად პედაგოგიური საბჭოს მიერ აღნიშნული ცვლილების დამტკიცებისა, დოკუმენტს რეკვიზიტები არ გააჩნდა, რაც მისი ნამდვილობის დადასტურებას შეუძლებელს ხდიდა. ეროვნულ სასწავლო გეგმაში ცვლილებებს რაც შეეხება, სკოლის დირექტორის პასუხად, ნინო ფეტვიაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული ცვლილებები არაქართულენოვანი სკოლებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების სტანდარტს შეეხებოდა, რაც მისცემდა სკოლას საშუალებას, რომ რუსულ ენაზე დაწყებით საფეხურზე მაინც ესწავლებინა.

დაწესებულების წარმომადგენელი ერთსა და იმავე საფეხურზე სხვადასხვა ავტორის სახელმძღვანელოებით სწავლებას იმით ხსნიდა, რომ წიგნები ფიზიკურად არ არსებობდა, საფეხური რომ სრულად მოეცვა. თანაც, მისივე თქმით, ბიოლოგიის რუსულენოვანი და ქართულენოვანი პროგრამები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, რის გამოც სხვა კლასის წიგნით სწავლება უწევდათ, თანაც ყოველივე ამის საფუძველზე მოსწავლეს ეროვნული გამოცდები უნდა ჩაებარებინა.

დაწესებულების დირექტორმა მადლიერება გამოხატა ექსპერტების მიმართ, რადგან მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით, როგორც თავად აღნიშნა, დაწესებულებამ ბევრი შეცდომა გაასწორა. თუმცა, რიგი გარემოებებისა მაინც არ იყო მასზე დამოკიდებული. მაგალითად, ზოგიერთი სახელმძღვანელო მხოლოდ რუსულ ენაზე მოიპოვებოდა, ზოგიც კი ორი საგნის გაერთიანებული სახელმძღვანელო იყო. კანონდარღვევას რაც შეეხება, დირექტორის აზრით, ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და გეოგრაფიის ქართულ ენაზე სწავლის ვალდებულება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე ვრცელდებოდა და არა უცხოელებზე. საპასუხოდ, ნინო ფეტვიაშვილმა წაიკითხა ამონარიდები შესაბამისი საკანონმდებლო ბაზიდან, რომლებიც სწავლების ენასა და უცხოენოვან სკოლებს ეხებოდა. აღნიშნულზე კომენტარი გააკეთა საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ კანონში წინააღმდეგობა შეიმჩნეოდა, თუმცა, სხდომის თავმჯდომარის მითითებით მსჯელობა ძირითად საკითხს დაუბრუნდა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს კიდევ ერთელ სთხოვა, მკაფიოდ განემარტათ საკითხი და მოეხსენებინათ, თუ რას აკეთებდა სკოლა და სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სკოლაში უცნობი წარმომადგრობისა და არაგრიფირებული

სახელმძღვანელოების მოხვედრის წინააღმდეგ. სკოლის დირექტორმა აღნიშნულს პოლიტიკური სპეციალისტის უწოდა და უკავშირდება გამოხატა. მანვე აღნიშნა, რომ სკოლა არაფერ შუაში იყო მომზადართან. თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მოუწოდა, ემოციურად არ შეეხედათ საკითხისთვის და მკაფიოდ ჩამოიყალიბებინათ პასუხი.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადა, რომ წლის ბოლოს სკოლა მშობლებს აძლევდა რეკომენდაციას, თუ რომელი სახელმძღვანელოები უნდა შეეძინათ წლის დასაწყისისთვის. თუმცა, სახელმძღვანელოები, რომლებსაც დავა ეხებოდა, არ ყოფილა მათ მიერ შედგენილ რეკომენდირებულ სახელმძღვანელოების სიაში, მიუხედავად იმისა, რომ მშობლებმა ისინი შეიძინეს ისე, რომ სახელმძღვანელოების შემოწმება ვერ მოხერხდა, რადგან სამუშაო დღე სკოლაში უკვე დასრულებული იყო.

საბჭოს წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსთხოვეს დამატებითი ლიტერატურის შესახებ ჩანაწერის არსებობა, რომელიც დაადასტურებდა, რომ სადაო სახელმძღვანელოები, როგორც თავად აცხადებდნენ, არ შეესაბამებოდა სკოლის წარმომადგენელთა მიერ დადგენილ დამატებით ლიტერატურას. ექსპერტებმა საბჭოს განუცხადეს, რომ როგორც პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვეოდა, დამატებითი ლიტერატურის არსებობის შესახებ მსგავსი ჩანაწერი არ არსებობდა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მშობლებს წიგნების შეძენისას, მართალია, კითხვები შესაძლოა გასჩენოდათ, როცა უცხო სახელმძღვანელოებს ნახავდნენ, თუმცა ვინაიდან დღის ბოლო იყო, პასუხების მიღება დაგვიანებული აღმოჩნდა.

თავმჯდომარემ შეაჯამა სურათი და განაცხადა, რომ სკოლაში დამატებითი ლიტერატურის შერჩევის და გამოყენების წესი და პროცედურა არ არსებობდა, რაზეც ყველა ფაქტობრივი გარემოება მიუთითებდა. აღნიშნული წესის არსებობის შემთხვევაში შესაძლოა სკოლაში მონიტორინგის განხორციელება სავალდებულო აღარც გამხდარიყო.

განხილვა მცირედ შეეხო შემაჯამებელი შეფასების საკითხსაც. საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუცხადა, რომ კლასში 10-11 ბავშვის არსებობის პირობებში სკოლა აუცილებლად უნდა აკეთებდეს შემაჯამებელი მუშაობის შეფასებას და ანალიზს. პასუხად სკოლის წარმომადგენლებმა განაცხადა, რომ სკოლაში სასკოლო წერების ანალიზი ხშირად კეთდებოდა. ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნულის დადასტურება მოითხოვა, თუმცა რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ ანალიზი აუცილებლობას არ წარმოადგენდა, რასაც დაეთანხმა ექსპერტიც და განაცხადა, რომ არსებითი რუბრიკის არსებობა და შედეგები იყო.

16:41 საათზე საბჭოზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭო განახლდა 17:25 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტისთვის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს: თამარ ფხალაძემ; მარინა უშვერიძემ; ნინო კოდუამ.

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯარების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტის (საიდენტიფიკაციო კოდი: 204521375) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ ცენტრს შუამდგომლობით მიმართა, სასწავლო წლის მეორე ნახევარში სკოლაში გაუფრთხილებლად განეხორციელებინა მონიტორინგი, ვინაიდან არსებული ხარვეზები და საჩივარი მაღალი მნიშვნელოვან საკითხებს ეხებოდა. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს აინტერესებდა, თუ რამდენად ზედმიწევნით სრულდებოდა ეროვნული სასწავლო გეგმა, რამდენად გამოიყენება პროგრამით განსაზღვრული ლიტერატურა და ზოგადად, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას რამდენად იყო გათვალისწინებული საქართველოს ეროვნული ინტერესები. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ ცენტრს განუცხადა, რომ სკოლაში ავტორიზაციის პროგრამული სტანდარტი და ლიტერატურა უნდა შემოწმებულიყო.

ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა პასუხად საბჭოს მიმართა, რომ ცენტრი დამკვიდრებული პრაქტიკით იხელმძღვანელებდა და დაწესებულებას მონიტორინგის განხორციელების თარიღამდე ერთი დღით გააფრთხილებდა, ვიზიტისას კი შესაბამის ბრძანებას წარუდგენდა. ცენტრი ასევე გადაამოწმებდა, თუ რამდენად გაითვალისწინა დაწესებულებამ ექსპერტების მიერ გაწეული რეკომენდაციები და მათი შენიშვნები. ბოლოს, ლაშა მარგიშვილმა დაწესებულების წარმომადგენლებს საბჭოზე ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების გამოსწორების თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის ცენტრის კანცელარიაში ოფიციალურად დარეგისტრირება სთხოვა.



2. შპს ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართა აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

შესაბამისობის, შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა ლევან მადათოვამა საკითხის განხილვის დაწყებამდე მიმართა საბჭოს და განაცხადა რომ შპს ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში ვიზიტი 2015 წლის 15 ოქტომბერს განხორციელდა, თუმცა დაწესებულების მოთხოვნით საკითხის განხილვა გადაიდო ორჯერ, ვინაიდან შენობა-ნაგებობა არ იყო მიღებული ექსპლუატაციაში. ცენტრმა შეისწავლა საკითხი და გამოირკვა რომ მიწის ნაკვეთი დაყადალებული იყო და საჯარო რეესტრის მიერ შეჩერებული იყო წარმოება.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა დაწესებულების წარმომადგენელს გადასცა. წარმომადგენელმა განაცხადა რომ ექსპლუატაციაში მიღების პროცედურა კანონმდებლობიდან გამომდინარე გახლდათ გაჭიანურებული და სამუშაო დღეებზე იყო გათვლილი, 30 სამუშაო დღე გახლდათ მინიმალური ვადა. დაწესებულებამ დაჩქარებული წარმოებისათვის გადაიხადა 2700 ლარი, თუმცა სხვადასხვა მიზანზების და ბიუროკრატიული მექანიზმების გამო მაინც ჭიანურდებოდა პროცესი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მშენებლობა მიმდინარეობდა ორ ეტაპად - სასწავლო კორპუსი და ადმინისტრაციული კორპუსი. მშენებლობა სრულად იყო დამთავრებული სასწავლო წლის დაწყებისათვის და შესაბამისად დაიწყო მისი ექსპლუატაციაში მიღების პროცედურაც, მაგრამ სამშენებლო ნებართვა გაცემული იყო ერთ არქიტექტურულ მთლიანობაზე, ვინაიდან მომავალი წლისათვის დაწესებულება გეგმავდა სპორტული კომპლექსის აშენებასაც, რომელიც შევიდოდა ერთიან პროექტში, შესაბამისად ზედამხედველობის სამსახურმა მოითხოვა პროექტის ჩამლა, რათა საკითხი მიღებულიყო წარმოებაში. დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა ქალაქის არქიტექტურის სამსახურის 8 დეკემბრის და 22 დეკემბრის ბრძანებები, სადაც ასახული იყო აღნიშნული გარემოებები, ხოლო რაც შეეხებოდა ყადაღას, შენობის ექსპლუატაციაში მიღებას ეს ხელს არ შეუშლიდა.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რატომ იყო მიწა დაყადალებული. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს გახლდათ საკონტრაქტო ურთიერთობები და სამართლებლივი დავიდან გამომდინარე ვალდებულებით დაყადალდა მიწა.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ დაწესებულება ვერ შეასრულებდა სარჩევის უზრუნველსაყოფად დაკისრებულ ვალდებულებებს და სასამართლო მოახდენდა მიწის და მასზე არსებული შენობა ნაგებობის გაყიდვას, უზრუნველყოფის მიზნით, რას აპირებდა ასეთი გარემოების დროს დაწესებულება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საქმე გადაეცა სასამართლოს, მაგრამ არ იყო დაწყებული საქმის არსებითად განხილვა. ყადაღის საფუძველი გახლდათ ადრინდელ მეიჯარესთან ქირის ოდენობასთან დაკავშირებული საკითხი, კერძოდ 400 000 ლარი, რომელიც მეიჯარემ მოითხოვა, არ შეესაბამებოდა გადასახდელ თანხას. თავად მიწის ნაკვეთის ღირებულება გახლდათ მილიონ ნახევარი ლარი, ხოლო შენობა ნაგებობის აღმართვის ხარჯები აღემატებოდა შვიდ მილიონ დოლარს. აღნიშნული 400 000 ლარიდან დაწესებულება აღიარებდა 300 000 ლარის გადახდას, დაწესებულებას ჰქონდა შეთანხმების ტექსტი, სადაც გაწერილი იყო ვალდებულებები. შეთანხმება მოხდა, მაგრამ მეიჯარემ საბოლოოდ ხელი არ მოაწერა მას.

სხდომის თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა ექსპერტს, წარმოედგინა ვიზიტის დროს დაფიქსირებული საკვანძო საკითხები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნოდარ ანგურიძემ დააფიქსირა, რომ შენობაში გარდა შპს „ბრიტანულ-ქართული აკადემიისა“ მოღვაწეობდა კ(ა)იპ -

„ბრიტანული საერთაშორისო სკოლა თბილისი“, ორივე იურიდიული პირის დამფუძნებელი გახლდათ ერთი და იგივე ფიზიკური პირი. ა(ა)იპ - „ბრიტანული საერთაშორისო სკოლა თბილისი“ არ იყო ავტორიზებული დაწესებულება და იკავებდა აკადემიური კორპუსის პირველი სართულის ნაწილს და სარგებლობდა შენობის სხვა სართულებზე განლაგებული რესურსებით, როგორიც იყო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, ლაბორატორია, კაფეტერია და სხვა დამხმარე სათავსოები. ასევე შეს „ბრიტანულ-ქართული აკადემიისათვის“ გადაცემული ჰქონდა ინვენტარი, რომელიც განთავსებული იყო ბიბლიოთეკაში და ლაბორატორიაში, ასევე სპორტული ინვენტარი, საციგურაო მოედანი და სხვა.

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლაში აგრეთვე არ იყო დამტკიცებული საევაკუაციო გეგმა, თუმცა დროებით სარგებლობისათვის გამოკრული იყო სართულის გეგმა, რომელზეც გასასვლელი მონიშნული იყო ისრებით. გარდა ამისა, ყოველ სართულზე ჩამოკიდებული იყო მიმანიშნებელი მანათობელი ისრები, რომლებიც მიმართული იყო გასასვლელისაკენ. საევაკუაციო გეგმის დამზადების თხოვნით სკოლას მიმართული ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსათვის.

საბჭოს წევრი დაინტერესდა სასწავლო პროცესში როგორ ხდებოდა ბიბლიოთეკის, ლაბორატორიების თავსებადობა, ხომ არ უშლიდა ეს სასწავლო პროცესს და როგორ ხდებოდა მათი გამოჯვენა. პასუხად ექსპერტმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს უნდა შეესრულებინა მხოლოდ მატერიალური რესურსი და სასწავლო პროცესამდე ისინი ვერ მივიდოდნენ. თუმცა, აღნიშნა, რომ დაყოფის მიზეზი იყო ის, რომ ინგლისურენოვან სექტორს არ ჰქონდა ავტორიზაცია. შენობა მოიცავდა 8840 კვადრატულ მეტრს და გამოყენებული იყო მხოლოდ პირველი სართულის ნაწილი ბრიტანული სექტორისათვის, 98 მოსწავლე იყო და 1-9 კლასი. სულ ბრიტანული სექტორი იყენებდა 6 საკლასო ოთახს. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას ჰქონდა ვებ-გვერდი რომელიც იყოფოდა ბრიტანული და ქართული სექტორების მიხედვით.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შეს ბრიტანულ-ქართული აკადემიისთვის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შეს ბრიტანულ-ქართული აკადემიის (საიდენტიფიკაციო კოდი: 204497829) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების ქ.ბათუმის რ. შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართა აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰქონდა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მიხეილ ტეფნაძემ წარადგინა. დაწესებულებას სკოლის დირექტორი, ელგუჯა დავითაძე და დირექტორის მოადგილე, ნათია მაკარაძე წარმოადგენდნენ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო მონიტორინგის დასკვნაში დაფიქსირებული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები:

მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტისას, სისპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool-ში, შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. ბათუმის, რ. შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა-ლიცეუმს ბაზის მიხედვით ჰყავდა 422 მოსწავლე. სკოლის პროფილში მონიშნული იყო, რომ სკოლას ჰქონდა ორი - ქართული და თურქული სექტორი. დაწესებულების დირექტორმა წარმოადგინა „თურქულენოვანი სექტორის გაუქმების შესახებ“ სკოლა-ლიცეუმის დირექტორის 2015 წლის 05 ოქტომბრის 01-03/64გ ბრძანება, რომლის მიხედვითაც სისპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2015 წლის 2 ოქტომბრის MES 45101015642 კორესპონდენციის საფუძველზე, სექტორის გაუქმებასთან დაკავშირებით ეტაპობრივად უნდა შესრულებულიყო შემდეგი პროცედურები: ოქტომბრის ბოლომდე უნდა განხორციელებულიყო მოსწავლეთა მართვის საინფორმაციო სისტემაში თურქულ სექტორზე რეგისტრირებული მოსწავლეების გადაყვანა ქართულ სექტორზე შექმნილ პარალელურ კლასებში. კერძოდ, აღნიშნული პარალელები შექმნილი იყო პირველ, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 კლასებში. ამავე ბრძანების მიხედვით თურქულ სექტორზე ძლიერდებოდა ქართული ენის სწავლება, მშობლებს მიეროდებოდათ შესაბამისი ინფორმაცია და 2016-2017 სასწავლო წლისათვის სკოლა-ლიცეუმში სწავლის მსურველ არაქართულენოვან მოსწავლეთა კონტიგუნტის ჩარიცხვა უნდა განხორციელებულიყო ავტომატურად ქართულენოვან კლასებში. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების Eschool-ის ბაზაში კვლავაც ფიქსირდებოდა ქართული და თურქული სექტორი, სკოლა-ლიცეუმის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, თურქულ სექტორზე მყოფი მოსწავლეები გადაყვანილები იყვნენ ქართულ სექტორზე არსებული კლასების შესაბამისად შექმნილ პარალელურ კლასებში. აღნიშნული პარალელების გაკვეთლების ცხრილი გაწერილი იყო გაკვეთილების ცხრილშიც.

ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ სკოლაში, თურქულენოვან სექტორში მოსწავლეები კვლავ ირიცხებოდნენ, თუმცა სკოლას გამოცემული ჰქონდა ბრძანება, რომელიც აღნიშნული მოსწავლეები ეტაპობრივად გადავიდოდნენ ქართულენოვან სექტორში და ახალი ნაკადი უკვე ქართულენოვან სექტორში ჩარიცხებოდა.

საბჭოს წევრის, რევაზ აფხაზავას განცხადებით, თურქულენოვანი მოსწავლეებისთვის ქართული ენის იძულებით სწავლება არამართებული იქნებოდა. ექსპერტმა საპასუხოდ აღნიშნა, რომ სკოლის პედაგოგები შეისწავლიდნენ მოსწავლეთა საჭიროებებს და ითვალისწინებდნენ მათ ინტერესებს. ყოფილი თურქულენოვანი სექტორის მოსწავლეები პარალელურ კლასში ნაწილდებოდნენ და არსებობდა ერთიანი ცხრილი, სადაც ქართული ენის სწავლების საათები ქართული სექტორისთვის განკუთვნილი ცხრილის ანალოგიურად ნაწილდებოდა. პროგრამა ქართულენოვან აქტივობებს ემყარებოდა, რაც ქართული ენის კომპეტენციათა განვითარებას ხელს შეუწყობდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ თურქულენოვანი მოსწავლეების სრულად ქართულენოვან პროგრამაზე გადაყვანა ვერ მოხერხდებოდა, რადგან მხოლოდ საგნების ნაწილი ისწავლებოდა ქართულ ენაზე, რაც იმას ნიშნავდა, რომ თურქულენოვანი სექტორის არარსებობის შემთხვევაში მშობლებს მოსწავლეების სკოლიდან გაყვანა მოუწევდათ.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, ჩაითვლებოდნენ თუ არა თურქულენოვანი მოსწავლეები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებად და დგებოდა თუ არა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების არსებობის აუცილებლობა. საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ ინდივიდუალური გეგმების არსებობა საჭირო ხდებოდა. ექსპერტმა საბჭოზე განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სკოლის ტრანსფორმაციის პროცესი ხანგრძლივი იქნებოდა.

საბჭოს მდივანი, თამარ ფხალაძე, თურქულენოვანი სექტორის გაუქმების შემდგომ, პედაგოგების დასაქმების საკითხით დაინტერესდა. დაწესებულების წარმომადგენელმა პასუხად განაცხადა, რომ პედაგოგები გათავისუფლებულნი იქნენ სამსახურეობრივი მოვალეობისგან და თურქეთში დაბრუნდნენ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენა ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ქართული ან აფხაზური. ამასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლება განხორციელდეს უცხოურ ენაზე. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ორივე სახელმწიფო ენისა. შესაბამისად, მოცემული კანონის თანახმად, ავტორიზებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას უცხოენოვანი სექტორი, გარდა ზემოაღნიშნული საგამონაცლისო შემთხვევისა, ვერ ექნებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების ქ. ბათუმის რ. შავინის სახელობის მეგობრობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების ქ. ბათუმის რ. შავინის სახელობის მეგობრობის სკოლა-ლიცეუმის (საიდენტიფიკაციო კოდი: 245618675) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ ცენტრს შუამდგომლობით მიმართა - ვინაიდან სკოლა ტრანსფორმაციის პროცესს გადიოდა, მომდევნო სემესტრის დასასრულამდე სკოლაში განმეორებითი მონიტორინგი განხორციელებინა, რაც სკოლის განვითარებას შეუწყობდა ხელს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 18:25 დასრულდა.

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე

მდივანი
თამარ ფხალაძე